



საქართველო მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულო  
GEORGIA MARNEULI MUNICIPALITY REPRESENTATIVE  
BODY



მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომის

ოქმი N6

ქ. მარნეული

07.03.2016 წელი

სხდომას ესწრებოდნენ:

საკრებულოს წევრები: - ნაბი აბდულაევი, ვალერი მეტრეველი, ამირან გიორგაძე, კოტე ბოჭორძე, ნიკოლოზ გოგოჭური, ირაკლი ბურნაძე, რამიზ გულმამედოვი, ქამილ ალიევი, არსენ ახვერდიანი, მაილ მიქიევი, ისმაილ ბაირამოვი, რუსტამ ფაშაევი, ბესიკ გუჯეჯიანი, აბიდ ოსმანოვი, ვალი ისმაილოვი, რაგიმ ასკეროვი, რიჩარდ გიგანი, მამედ მამედოვი, ლევონ აკოპიანი, გიორგი შუკაკიძე, რაფიკ ჯაფაროვი, ლერი მუმლაძე, ზურაბ ჭონიაშვილი, სულეიმან ხალილოვი, მახირ იუსუბოვი, ელხან მუფთიევი, აგილ ფაშაევი.

არ ესწრებოდა:

- ვანო ბურნაძე, რაფიკ მუსაევი, ჯომგუნ ზეინალოვი, გივი ქველაძე, აიდა ხაჩიკიანი, ზურაბ სხირტლაძე.

სხდომას ესწრებოდა:

- მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებელი მერაბ თოფჩიშვილი, მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის უფროსი ვუგარ მამედოვი, მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის სოციალური განყოფილების უფროსი დავით აროშიძე, მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციის უფროსი ნინო დეკანოიძე, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსი ნინო ბერიძე, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საორგანიზაციო განყოფილების უფროსი რუსუდან გადელია.

პრესისა და ტელევიზიის წარმომადგენლები: „მარნეული TV“-ს ტელევიზიის წარმომადგენლები.

განსახილველი საკითხების დღის წესრიგი:

1. „მარნეულის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 25 დეკემბრის N44 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ.
2. მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2016 წლის 4 მარტის N03/1349 წერილის განხილვის შესახებ.

## განხილული საკითხები და მიღებული გადაწყვეტილებები:

1. დღის წესრიგით გათვალისწინებულ პირველ საკითხთან დაკავშირებით მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა ვუგარ მამედოვმა საკრებულოს წევრებს დასამტკიცებლად წარუდგინა „მარნეულის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 25 დეკემბრის N44 დადგენილებაში შესატანი ცვლილების პროექტი.

საკრებულოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა აღნიშნული საკითხი, რაც მიღებული იქნა ერთხმად (მიღებულია დადგენილება N11. 07.03.2016 წ).

2. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეორე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა ვუგარ მამედოვმა, საკრებულოს წევრებს საქართველოს მთავრობის 2016 წლის 26 თებერვლის N107 დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოში ფეხბურთის განვითარების (2016-2020 წ) სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“ მე-3 მუხლის გ.ბ) პუნქტის საფუძველზე, საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს 2016 წლის 02 მარტის N07/581 წერილის, მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2016 წლის 4 მარტის N03/1349 წერილის და მარნეულის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტში შეტანილი ცვლილების გათვალისწინებით ითხოვა თანხმობა, რათა შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება საფეხბურთო კლუბი „ალგეთი“-სათვის 2016 წელს გამოყოფილი თანხა 292081 ლარი გადაირიცხოს ა(ა)იპ „ქართული ფეხბურთის განვითარების ფონდი“-ს ანგარიშზე: სახელმწიფო ხაზინა, ბანკის კოდი TRESGE22. ანგ. NGE24NB0330100200165022. სახაზინო შემოსულობების კოდი: 709557015. ს/ნ. 405135786.

საკრებულოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა აღნიშნული საკითხი, რაც მიღებული იქნა ერთხმად (მიღებულია განკარგულება N41. 07.03.2016 წ).

საკრებულოს თავმჯდომარემ მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის მეექვსე სხდომა გამოაცხადა დახურულად.

ნაზი აბდულაევი

მარნეულის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს თავმჯდომარე: